# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (07–1/553, 11.03.2008) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 19 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პაატა ლეჟავა** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ნინო კალანდაძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ელენე თევდორაძე** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

**ვანო ხუხუნაიშვილი** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ზურაბ ტყემალაძე** – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მრეწველების" თავმჯდომარე

**მამუკა კაციტაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გოჩა ქიმაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ბადრი ხატიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ნუგზარ შოშიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ლევან გზირიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კახა კუკავა** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კონსტანტინე კუბლაშვილი** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

**დიმიტრი ძაგნიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

**გიორგი ხუბუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**დავით კერესელიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი**
**თბილისი,**
**2008 წლის 19 მარტი.**
**№5934-რს**